



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 112

„ 3 „ თებერვალი 2014 წ.

### ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 იანვრის №1/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 იანვრის №1/2 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

„ბ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული, სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

„გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;“;

დ) პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული, მაგისტრატი მოსამართლე - 1 საშტატო ერთეული;“;

ე) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება განხორციელდეს 2014 წლის 22 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან მურუსიძე  
საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი